საია საზოგადოებრივ მაუწყებელს მიმართავს, პირდაპირ ეთერში გადასცეს გირგვლიანის სასამართლო პროცესი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დღეს, 29 ივნისს, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს წერილი გაუგზავნა. წერილით ის თამარ კინწურაშვილს სანდრო გირგვლიანის სასამართლო პროცესის პირდაპირი ეთერით გადაცემას სთხოვს.

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის A პუნქტის შესაბამისად,

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია, [redacted] აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ”.

იმდენად, რამდენადაც აღნიშნული სასამართლო პროცესისადმი საზოგადოების ინტერესი საკმაოდ დიდია და მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს, აუცილებელია სანდრო გირგვლიანის მკვლელობის სასამართლო პროცესი პირდაპირი ეთერით გასვლა. ეს ამავდროულად ხელს შეუწყობს საზოგადოების ნდობის ამაღლებას სასამართლოს ობიექტურობისადმი.